№ 88 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, 22 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქ. რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიაროო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

ოფიციალური განყოფილება

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

კანონთა გადამხინჯავი დროებითი კომისიისა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე.

№№ რიგზე.	თანამდებობის და ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირთა რიცხვი.	თითეულს თვიურად	ყველას თვიურად	ყველას 1920 წ. თებერვ. 1-დან ივნისის 1-მდე.
1	კომისიის თავმჯდომარე (მინისტრი ან მისი ამხანაგი)	—	—	—	—
2	თავმჯდომარის ამხანაგი	2	7000	14000	56000
3	მუდმივი წევრები	6	6500	39500	156000
4	მდივანი	3	4500	13500	54000
5	საქმის მწარმოებელი	3	3400	10200	40800
6	მანქანით გადამწერი	4	2800	8320	33280
7	შიკრიკი	1	1900	1960	7840
		—	25440	87480	347920
8	მოწვეული წევრების გასამრჯელო (12 წევრს თითო სხდომისთვის 250 მან., სულ თვეში 10 სხდომა)	—	—	—	120000
9	საავტორო ჰონორარი	—	20000	—	80000
10	სპეციალისტების მოსაწვევად	—	6000	—	24000
11	საკანცელარიო ხარჯი	—	10000	—	40000
12	სტამბის ხარჯი	—	50000	—	200000
13	ერთდროული ხარჯი ინვენტარის, საწერი მანქანების და ბიბლიოთეკის შესანახად	—	—	—	20000
	სულ	—	111440	87480	1011920

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ტფილისის უსინათლოთა სკოლისა 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობის და ხარჯის სახელწოდება.	რიცხ. თან. პირ.	თვითეულს თვიურად	ბინის ქირა თვეში თვიურად.	ყველას თვიურად.	ყველას 1919 წ. ნოემბრ. 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე.
1	სკოლის უფროსი	1	2250	150	2400	16800
2	საზოგადო საგნების მასწავლებელი	3	1000*)	—	3000	21000
3	ხელსაქმისა, სიმღერისა, გალობისა, მუსიკისა და ტანთვარჯიშობის მასწავლებელი	3	800	—	2400	16800
4	ოსტატი	2	1000**)	—	2000	14000
5	საქმის მწარმოებელი და სახელოსნოების გამგე	1	900	—	900	6300
6	ეკონომი	1	800	—	800	5600
7	დარაჯი და დაბალი მოსამსახურე	6	600	—	3600	25200
8	საკანცელარიო ხარჯი	7	—	—	150	1050
9	სახელმძღვანელოების, ხელსაწყოების, სასწავლო ნივთებისა და იარაღ-მასალის შესაძენ შესაკეთებელი	—	—	—	2500	17500
10	გასათბობ-გასანათებელი, ტანისამოსი, საცვალი და ფეხსაცმელი მოწაფეთათვის	—	—	—	5608	39256
11	39 მოწაფის და მოსამსახურის საჭმელ-სასმელი	—	600	—	23400	163800
12	შენობის შეკეთება და წვრილმანი საოჯახო სამეურნეო ხარჯი	—	1525	—	1525	10675
	სულ	—	9475	150	48283	337981

შენიშვნა: *) ბინა ეძლევა სასწავლებელთან.
**) ბინა ეძლევა სასწავლებელთან.

1920 წ. აპრილის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

პროპორციონალი სააქციზო გადასახადის დაწესებისა.

1. დაწესებულ იქნეს ყველა გადასახად-დასადები საგნებისათვის პროპორციონალი სააქციზო გადასახადი თანახმად იმ საპროცენტო ნორმისა, რომელიც ამ დეკრეტთან დართულ ცხრილშია ნაჩვენები.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ფინანსთა მინისტს უფლება მიეცეს შეიმუშაოს დაწვრილებითი წესი პროპორციონალი აქციზის დაწესებისა, მისი გაწერისა, შემოსული გადასახადის ანგარიშის წარმოებისა და მისი კონტროლისა.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

ექვ. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება დეკრეტის I მუხლისა

ცხრილი

არაპირდაპირი გადასახადთა საპროცენტო ნორმისა.

გადასახად-დასადებ საგანთა სახელწოდება.	გასყიდვის ფასის მიხედვით დადებული საპროცენტო გადასახადი.
I ჯგუფი.	
1. ჩაი უცხოეთისა. 2. შაქარი (თავიშაქარი და ფხვნილი).	10% გასყიდვის ფასისა.
2 ჯგუფი.	
3. წუმწუმა. 4. კეროსინი, ბენზინი (მსუბუქი, მძიმე, დაწმენდილი, დაუწმენდავი).	15% გასყიდვის ფასისა.
მე-3 ჯგუფი.	
5. ყურძნის ღვინო. 6. ლუდი. 7. ჭაჭის არაყი. 8. ჭაჭის სპირტი.	20% გასყიდვის ფასისა.
მე-4 ჯგუფი.	
9. პაპიროსის ქაღალდი. 10. პაპიროსის გ ლზი. 11. პურის სპირტი. 12. კურის არაყი. 13. კონიაკის სპირტი. 14. კონიაკი. 15. შუშხუნა ღვინო (შამპანიურის მაგვარი). 16. ღვინო მაგარი, ტკბილი, ლიქორისა (პორტვეინი, მადერი, ხერესი დ სხვ.)	30% გასყიდვის ფასისა.
მე-5 ჯგუფი.	
17. თამბაქო და პაპიროსი უმაღლ. ხარისხისა. 18. არაყეული (ლიქორი, ხილ-არაყი და სხვა).	50% გასყიდვის ფასისა.

შენიშვნა: დანარჩენი ხარისხის თამბაქოს ნაწარმოების გადასახადი უცვლელად რჩება, რადგანაც ეხლა აძევს გასყიდვის 50 პროცენტამდე, აგრეთვე ნავთისაგან დამზადებულ საპონ-ზეთეულობაზედაც ძველი გადასახადი რჩება (ფუთზე 12 მან.)

1920 წ. აპრილის 6.

დამფუძნებელი კრების თავჯდომარის ამხ. **ექვ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

კანონთა გადამხინჯავი დროებითი კომისიის დაარსებისა.

1. დაარსდეს ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან იუსტიციის სამინისტოსთან დროებითი კომისია მომქმედ კანონ-მდებლობათა გადასასინჯავად და მიმდინარე საკანონმდებლო წინადადებათა დასამუშავებლად.

2. კომისია შესდგება მუდმივი და მოწვეული წევრებისაგან იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით.

3. კომისიის წევრებისა და კანცელარიის შედგენილობა და ჯამაგირი განისაზღვრება ამასთანავე დართული შტატით.

4. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე ერთი მილიონი თერთმეტი ათასი ცხრაას ოცი (1.011,920) მანეთი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 8.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ე. გეგეჭკორი.**

გრძანება

ტფილისის გარნიზონს.

1920 წლ. 19 აპრილი.

№ 2.

სამხედრო უწყების 1920 წლ. 27 იანვრის ბრძანების № 5 თანახმათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასტიკათ აკრძალულია რომელიმე სამხედრო ფორმის ტარება, გარდა იმ პირთა, რომლებიც ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის ჯარებში და იმ ოფიცერთა, რომლებიც მსახურობენ უცხოელ მისიებში, წინადადებას ვაძლევ იმ პირთ, რომელთაც არ ეკუთვნით ფორმის ტარება, დაუყონებლივ გაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებული იქმნებიან და პასუხისგებაში მიეცემიან. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანას თვალ-ყური უნდა ადევნოს კომენდანტმა.

ტფ. გარნიზონის უფროსი
სამხედრო მინისტრის თანაშემწე
გენ. **გედევანიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

8 აპრილის სხდომა.

სხდომას დაესწრენ: თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მინისტრები: არსენიძე, რამიშვილი, ლორთქიფანიძე, ხომერიკი; სახლ. კონტ. ამხანაგი ანდრონიკაშვილი; მინისტრთა ამხანაგები: ავალიანი, ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ჭავჭანიძე, ბახტაძე, ცინცაძე; დეპარტამენტთა დირექტორები: გ. ჟორდანია, ალშიბაია, ჭიჭინაძე, საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე, მდივანი ლომთაძე.

ექიმების მობილიზაცია.

ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს მოახდინოს ექიმების ნაწილობრივი მობილიზაცია.

თანამდებობაზე დამტკიცება.

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგის თან. აღ. თადეოზ გრიგოლის ძე ვაჩნაძე დამტკიცებულ იქმნას აღნიშნულ თანამდებობაზე.

ბრალმდებლის ამხანაგათ დანიშვნა.

დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე დაინიშნოს ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

თანამდებობაზე დამტკიცება.

სოხუმის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის თან. აღმასრულებელი დიმიტრი მიხეილის ძე ჩხატარაიშვილი დამტკიცებულ იქნას აღნიშნულ სასამართლოს ბრალმდებლის თანამდებობაზე და წარიგზავნოს სოხუმის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლათ.

მთავრობის 1919 წლ. ივლისის 31-ის დადგენილების შეცვლა.

სასამართლოს დაწესებულებათა შტატით განსაზღვრულ სასამართლო თანამდებობის კანდიდატთა რიცხვისათვის მთავრობის 1919 წლის ივლისის 31-ის დადგენილება შეცვლილ იქმნას ამნაირად:

1. „იმ პირთ, რომელთაც იურიდიული ფაკულტეტის ყველა საგნები მოუსმენიათ, მაგრამ დიპლომი არ მიულიათ, მიეცეთ უფლება, ექვსი თვის სამსახურის შემდეგ, რომელშიაც მათ მიეცემათ განსაზღვრული ჯამაგირი, ჩააბარონ გამოცდები სასამართლოს გამოსაცდელ კომისიაში, სასამართლოს კანდიდატის უფლების მისაღებათ.

2. მიეცეს უფლება იუსტიციის სამინისტროს განაწესოს სასამართლო კანდიდატის თანამდებობაზე ისეთი პირნიც, რომელნიც, თუმცა არ არიან სათანადო იურიდიული ცოდნით აღჭურვილნი იურიდიულ მეცნიერებაში, მაგრამ, სამინისტროს შეხედულებით, ცნობილ იქმნებიან ამა თუ იმ თანამდებობისათვის შესაფერისად მათი პრაქტიკული გამოცდილების და საერთო მომზადების მიხედვით, იმ პირობით, რომ უკანასკნელთ ევალებათ $^1/_2$ წლის განმავლობაში ჩააბარონ სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

უძრავ ქონების ჩ მორთმევა.

სიღნაღის ქალაქის საბჭოს 1920 წლის 26 იანვრის დადგენილება არტემ არტემის ძე ოთაროვისაგან უძრავ ქონების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქნას.

ნიხრის დამტკიცება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ახალი ნიხრი ქქ. ფოთსა, გორში, ქუთაისში და ეკატერინოფელდში ტელეფონის დადგმა-მოწყობისა, გადატან-გადმოტანისა და მათი სარგებლობისათვის დამტკიცებულ იქნას.

საერთაშორისო საფოსტო და სატელეგრაფო კორესპონდენციის ახალი ნიხრის დამტკიცება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ახალი ნიხრი საერთაშორისო კორესპონდენციისა დამტკიცებულ იქმნას და უფლება მიეცეს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს გაატაროს იგი ცხოვრებაში სათანადო მთავრობებთან შეთანხმებისთანავე.

შტატის შემცირება.

1. დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინიმუმამდე შეამციროს შტატი გორის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებისა. მთავრობის განკარგულებაში არსებულ 4 მილიონ მანეთიდან გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ერთი მილიონი მანეთი მოსამსახურეთა სალიკვიდაციოთ და დარჩენილ შტატის ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს წარმოუდგინოს მთავრობას მოხსენება ქ. გორის თვითმართველობის საქმეებისა და მისი რეკონსტრუქციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

(11 აპრილის სხდომა, ოქმი № 4).

თავმჯდომარეობს ევგ. პ. გეგეჭკორი. დაესწრენ: ადერბეიჯანიდან: გ. ბ. აგაევი, ს. ბ. კრიჩინსკი, ფ. ბ. ვექილოვი; სომხეთიდან: ტ. ა. ბეკზადიანი, ა. ა. ოგანჯანიანი, ს. ა. ხაჩატურიანი, ს. გ. მამიკონიანი; საქართველოდან: გ. ს. ლორთქიფანიძე და გ. თ. მახარაძე.

დღის პირველ საათზე გეგეჭკორმა გამოაცხადა რა სხდომა გახსნილათ სთქვა, რომ წინანდელი სხდომა შეწყვეტილი იყო იმიტომ, რომ ადერბეიჯანის მთავრობის პასუხი არ გვქონდა მიღებული.

ბ. აგაევი კითხულობს დეპეშის ტექსტს: „ბაქოს, ტფილისი, ადერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე აგაევს. ეგეგება რა კონფერენციის სურვილს და სურს რა მისი მშვიდობიანი და ნაყოფიერი მუშაობა ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა, რომ კონფერენციამ განსახილველად დასვას საკითხი ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე შეტაკებებისა და სისხლის ღვრის მოსასპობათ ზომების შესახებ დღეს თქვენ გეგზა ნებათ შიკრიკის საშუალებით ნომერი, 22 აპრილი, დღის 11 საათი. საგარეო საქმეთა მინისტრი ხანხოისკი“. ადერბეიჯანის მთავრობის ცნობის მოსმენის შემდეგ ე. პ. გეგეჭკორი წინადადებას იძლევა დღიურ წესრიგში სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის საკითხის განხილვას შეუდგნენ.

ს. გ. მამიკონიანი ამის დასამტკიცებლად აყენებს საკითხს იმ დადგენილებათა გადასინჯვის შესახებ, რომელიც წინა კონფერენციის მსჯელობის საგნათ იყო, რადგანაც ამ გადაწყვეტილებებში ბევრი ძვირფასი მასალა არის. ირკვევა სხვა და სხვა წინადადება დღიურ წეს-რიგის შესახებ.

გ. ს. ლორთქიფანიძე წინადადებას იძლევა დღიური წეს-რიგის თეზისთა ჩამოყალიბების შესახებ.

ა. ი. ოგანჯანიანი აუცილებლად სთვლის რომ დღიური წეს-რიგი შევსებულიყოს ეკონომიურ ხასიათის საკითხებით. ადერბეიჯანის დელეგაცია პირველ განსახილველ მუხლად აყენებს საკითხს კონფერენციის შესახებ, რადგანაც პირველ კონფერენციის დროსაც ასეთივე წეს რიგი იყო.

ე. პ. გეგეჭკორი: წინადადებას იძლევა ჯერ-ჯერობ თ შეჩერდენ უკვე დასახულ და მიღებულ დღიურ წესრიგის ოთხს საკითხზე, სახელდობრ: 1, საკითხზე იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს კონფერენციამ სისხლის მღვრელ შეტაკებათა შესაწყვეტათ. 2) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ტერიტორიალურ დავის საკითხზე. 3) საგარეო პოლიტიკის საკითხებში შეთანხმებულ მოქმედებაზე. 4) კონფერენციის საკითხზე. შემდეგ სხდომაზე ამასთანავე მან დაუმატა, რომ სომხეთის დელეგაცია განაცხადებს ეკონომიურ საკითხების იმ მუხლების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს.

ადერბეიჯანის დელეგაცია წინადადებას იძლევა მეორეთ დაისვას საკითხი კონფედერენციის შესახებ, რომელიც კონფერენციის სხვა ყველა საკითხთან დაკავშირებულია.

ხ. გ. მამიკონიანი. ვფიქრობ უსარგებლო იქნება პირველად დავსვათ საკითხი კონფედერაციის შესახებ. რადგან კონფერენცია იძულებული იქნება ხშირათ მიმართოს სხვა საკით ებსაც, რომელნიც მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან კონფედერაციასთან, როგორც მაგალითად საკითხები საგარეო პოლიტიკისა, ტერიტორიალური და სხვა.

გ. ს. ლორთქიფანიძის აზრით პირველად ყოვლისა საჭიროა განიხილოთ ის საკითხები, რომელნიც დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხს წარმოადგენს, წინაალმდეგ შემთხვევაში ფაქტიური მდგომარეობა არ შეესაბამება კონფერენციის დადგენილებებს ურთიერთ დაახლოვებისა, სამხედრო მოქმედების შეწყვეტისა, დ სხვათა შესახებ. ამიტომ მისი აზრით საჭიროა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს დაადგენ იმ სისტემას, რომელიც კონფერენციას თანდათან კონფედერაციის საკითხთან დაახლოვებს.

გ. თ. მახარაძე უერთდება რა გ. ს. ლორთქიფანიძის აზრს, სავსებით შესაძლებლად სთვლის, რომ კონფერენცია, რომელსაც შეუძლია კონფედერაციის საკითხში შეთანხმდეს, სხვა საკითხებში გაიყოს.

ა. ი. ოგანჯანიანი. თანახმაა მისი, რომ კონფერენციას, რომელიც კონფედერაციის საერთო საკითხს დასვამს და გადასწყვეტს, რა თქმა უნდა შეუძლია თავისი მუშაობა შეამსუბუქოს სხვა დარგებში, მაგალითად, ტერიტორიალური ეკონომიურ და სხვა დარგებში. მაგრამ მეორეს მხრით, როდესაც კონფედერაციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ მასში შესული სუვერენული სახელმწიფოები თავისუფლებათა ერთს ნაწილზე უარს იტყვის.

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაერთებელ ნაწილთ აქვთ განსაზღვრული ტერიტორია, ეხლა კი რესპუბლიკების საზღვარი ჯერაც არ არის გამორკვეული და მომავალში გადასაწყვეტია აუარებელი სხვა საკითხები, ამიტომ ის ფიქრობს, რომ საჭიროა წინად დასახული დღიური წესრიგის დატოვება.

ფ. ბ. კრეჩინსკის აზრით კონფედერაციის საკითხი აოავითარ კამათს არ იწვევს, კონფედერაციის შექმნის შემდეგ მის კომისიებს შეუძლიათ თანდათანობით გადასწყვიტონ მათ შორის აღძრული ყველა სადაო საკითხი. იძლევა რა წინადადებას კონფედერაციის საკითხის განხილვის შესახებ ადერბეიჯანის დელეგაციას სურს. საბოლოოთ საზღვარი დაუდოს ყველა იმ შეჯახებებს, რომელთა შესახებაც აქ არის ლაპარაკი.

ბეკზადიანი: გადაჭრით აცხადებს რომ სისხლის მღვრელ შეტაკებათა შეწყვეტის საკითხში შეუთანხმებლად სომხეთის დელეგაციას არ შეუძლია რაიმე კავშირის შექმნაში მონაწილეობა მიიღოს.

ფ. ბ. კრეჩინსკი: განმარტავს, რომ ჯერ-ჯერობით ადერბეიჯანის დელეგაციას სურს კონფერენციის მარტო პრინციპიალური თანხმობა.

ე. პ. გეგეჭკორი: უპასუხებს, რომ კამათი ჭიანურდება და წინადადებას იძლევა რაიმე გადაწყვეტილება გამოიტანონ. სთვლის რა კონფერენციის მოწვევას სამძიმოთ, აღნიშნავს ახლო ხანში ტფილისში მომხდარ სამი საგ. საქ. მინისტრის თათბირს, სადაც ადერბეჯანის, სომხეთის და საქართველოს ურთიერთ დაახლოვების საკითხის განხილვის დროს აუცილებელად აღიარეს პერიოდიულად შეხვედრა სამი საგარეო საქმეთა მინისტრისა. ამ ზომას იგი მომავალშიც აუცილებლად სთვლის. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველივე რაც ამ ჟამად ხდება დამოკიდებულია იმაზე, რომ რეგულიარული დამოკიდებულება არ არსებობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელთა შორის. ამის გამო, რადგანაც ამ გვარი წინასწარი მოლაპარაკება ძალიან ცოტა იყო, მისი აზრით კონფერენციის საკითხის განხილვიდან დაწყება უშედეგო იქნება. კონფერენციის მუშაობა დადებით შედეგს მოგვცემს, თუ იგი არსებულ ყველა სადაო საკითხებს გადასწყვეტს. ამას შეგვიძლია ჩვენ მივაღწიოთ იმ შემთხვევაშიც, თუ სამს რესპუბლიკას ექნება საერთო მუდმივი ორგანო, რომელიც საჭიროების დროს ამა თუ იმ სადაო საკითხის შესახებ, თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის. მაგრამ რადგან ასეთი ორგანო არ არსებობს სასურველია წინდაწინვე მთავრობათა გარკვევითი სურვილის ცოდნა, ანდა რომ დელეგაციას სადაო საკითხების შესახებ სათანადო წერილობითი მოხსენებანი ჰქონდეთ. დასასრულ იგი შესაძლებლადა სთვლის კონფედერაციის საკითხი დაისვას მეორეთ, ტერიტორიალური კი მეოთხე საკითხათ.

ხ. ა. ხჩატურიანი. იგი საქართველოს და ადერბეიჯანის დელეგაციების მიერ წამოყენებულ ორგანოს დაარსებას დადებითად და დროულად ჩასთვლიდა, რომ სხვა უმძიმესი საკითხები არ იყოს. გადასაწყვეტი ძირითად პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა შექმნის განზრახულ ორგანოსათვის კეთილ მყოფელ ნიადაგს. ამიტომ სასურველია დავიწყოთ ტერიტორიალურ საკითხის განხილვიდან რომლის გადაწყვეტაც შექმნის კარგს ფსიხოლოგიურ ნიადაგს, სხვა სადაო საკითხების სალიკვიდაციოთ. კამათი გაჭიანურდა. სომხ. დელ. გამოდის რა იმ თვალსაზრისიდან, რომ შეუძლებელია კონფედერაციის შექმნა, სხვა საკითხების გადაწყვეტამდე, კატეგორიულად აცხადებს, რომ ტერიტორიული, ეკონომიური და სხვა საკითხები პირველ რიგში იქნეს დასმული. ადერბეჯანის დელეგაცია აუცილებლად სთვლის რა რაიმე შემაკავშირებელ ორგანოს შექმნას უერთდება ე. პ. გეგეჭკორის წინადადებას. საქართველოს დელეგაცია მოუწოდებს ორივე მხარეს კომპრომისული შეთანხმება მოახდინონ თუნდაც ისეთის ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც კონფედერაციამდე ოფიციალური წესით გადასწყვეტს მოდავე მხარეთა უთანხმოებას. კამათის შემდეგ კონფერენცია შეთანხმდა, რომ სამი რესპუბლიკის საერთო ორგანოს შექმნის საკითხი მეორეთ იქნას დასმული. ამგვარად საბოლოო მიღებულია შემდეგი დღიური წესრიგი: 1, საკითხი სისხლის ღვრის შეწყვეტისა, 2, ამიერ-კავკასიის მუდმივი ორგანოს შექმნისა, 3, ტერიტორიალ საკითხები, 4, საგარეო პოლიტიკის საკითხებში შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმა. 5, კონფედერაციის საკითხი და 6, ეკონმიურუ საკითხები.

(შემდეგი იქნება).

ხან-ხოელის ახალი ნოტა ჩიჩერინს

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქ. მინისტრმა ხან-ხოელმა შემდეგი რადიო დეპეშა გაუგზავნა.

სახალხო კომისარს ჩიჩერინს:

დაღესტანის ტერიტორიის დენიკინის ძალებისგან დაცლის შემდეგ, ადერბეიჯანის ხალხი არავითარ საფრთხეს არ მოელოდა ჩრდილოეთით, სადაც ცხოვრობენ თავისუფალი მთიელები და რუსები, რომლებმაც გამოაცხადეს ერთა თვითგამორკვევის დიადი პრინციპი. მიუხედავათ ამისა ეხლა ხდება რუსეთის საბჭოთა მთავრობის მნიშვნელოვან ძალების კონცენტრაცია დაღესტანის საზღვრებში—დერბენტის რაიონში ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებთან. ადერბეიჯანის მთავრობა სასწრაფოთ მოითხოვს საბჭოთა მთავრობისგან აცნობოს მიზეზი და მიზანი აღნიშნულ რაიონში ჯარების კონცენტრაციისა. რადგან დღემდე არ მიულია არავითარი პასუხი თავის წინადადებაზე დაეწყოთ მოლაპარაკება კეთილ მეზობლურ განწყობილების დასამყარებლათ რუს და ადერბეიჯანის ერთა შორის, ჩემი მთავრობა მოითხოვს პასუხს წინადადებაზე და თუ ის მიღებულია ადგილისა და დროის დანიშვნას. № 80. 15 აპრილი,

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქ. მინისტრი **ხან-ხოელი.**

ყაზახის მაზრა

ტეკინსკის დეპეშა.

სომხეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ბაქოდან:

მთავრობის მიერ მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმათ, ამიერ-კავკასიის კონფერენციის მიერ ყაზახის რაიონში გაგზავნილ კომისიას განუზრახავს აღედგინა, როგორც მას დავალებული ქონდა ძველი მოსაზღვრე ხაზი არსებულ შეტაკებამდე, მაგრამ სომხეთის ჯარებმა არ დასტოვეს დაკავებული ტერიტორია და რადგან კომისიამ ვერ მიახწია მიზანს, მიუხედავათ იმისა, რომ იქ იყო სომხეთის შინაგან საქმ. მინისტრის ამხანაგი, ის ტფილისში დაბრუნდა.

სომხეთის ჯარების საერთაშორისო კომისიისადმი ასეთმა მოპყრობამ დიდათ ააღელვა მუსულმანი მცხოვრები მით უმეტეს, რომ ჩვენ გამოვიყვანეთ ყაზახის რაიონიდან სამხედრო ნაწილები, გარდა მცირე ნაწილისა, რომელიც საჭირო არის წეს-რიგის დასაცავათ. ჩემი მთავრობა დაბეჯითებით ითხოვს სომხეთის მთავრობის სასწრაფო განკარგულებას, რათა სომხეთის ჯარებმა დაუყონებლივ შეასრულონ საერთაშორისო კომისიის წინადადება მოსაზღვრე ხაზის აღდგენის შესახებ.

გარეშე საქ. მინისტრის მაგიერ **ტეკინსკი.**

ა. ხატისოვის პასუხი.

თქვენი დეპეშის საპასუხოთ გაცნობებთ, რომ თქვენი ცნობები სრულიად არ არის სწორი. სომხეთის მთავრობა სავსებით იზიარებს დელეგაციის აზრს და გასცა უკვე საჭირო განკარგულებანი, რომლებიც ადგილობრივ სისრულეში მოყავს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს მინასიანს, რომელსაც უნდა მიმართონ თქვენმა ადგილობრივმა ხელისუფლებმა რაიმე გაუგებრობის გამოსარკვევათ. გთხოვთ სასწრაფოთ შემატყობინოთ რა განკარგულება არის გაცემული თქვენ მიერ განჯისა და ყარაბახის რაიონებში, სადაც გრძელდება ადერბეიჯანის ჯარების და ბანდების აგრესიული მოქმედება. ჩემი მთავრობა მოითხოვს, რათა სრულიად და დაუყონებლივ იქნეს შეწყვეტილი ეს მოქმედება.

გარეშე საქ. მინ. **ხატისოვი.**

მინასიანის დეპეშა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დეპეშით ატყობინებს მთავრობას: 18 აპრილი. დღეს ჩემი თანდასწრებით ერობის თავმჯდომარე და მცხოვრებთა წარმომადგენლები შეთანხმდენ ყაზახის გენ. გუბერნატორთან და თათარ მცხოვრებთა წარმომადგენლებთან. შეთანხმების ტექსტს გაცნობებს თქვენ ერობის თავმჯდომარე. წარმომადგენლებმა დეპეშით აცნობეს კონფერენციას შერიგება. ხვალ 12 საათზე კომისია გამოვა.

გარ. საქ. მინ. ამხ. **მინასიანი.**

უცხოეთი

ოსმალეთი.

მუსტაფა ქემილი.

გაზ. „ილერის“ გადმოცემით მუსტაფა-ქემილმა, რომელიც მთავარსარდლობდა ანატოლიაში ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა კონსტანტინოპოლის მთავრობასთან. მას, როგორც მთავრობის მეამბოხეს სდევნიან ოსმალოები.

ახალი კაბინეტი.

კონსტანტინოპოლში დასრულდა მთავრობის კაბინეტის კრიზისი, შესდგა ახალი კაბინეტი დამატნერ-ფაშის მეთაურობით. გაზეთების გადმოცემით მოსალოდნელია ახლო-მომავალში პარლამენტის გაშვება.

აბდულ-მეჯიდ-ეფენდი.

ოსმალეთის სამეფოს მემკვიდრე აბდულ-მეჯიდ-ეფენდი ინგლისელების ხელამხედველობაში იმყოფება. მას ეპვის თვალით უყურებენ, რადგან ეშინიათ რომ აბდულ-მეჯიდ-ეფენდი მუსტაფა-ქემის ფაშასთან არ იყოს ერთ კავშირში შეკრული.

მობილიზაცია ანატოლიაში.

როგორც ტრაპეზუნიდან იტყობინებიან მუსტაფ-ქემილს ანატოლიაში გამოუცხადებია მობილიზაცია 18 წ.—45 წლიანებისა. მის მიერ გამოცხადებულია დროებითი მთავრობა. ამ მთავრობის მეთაური მუსტა-ფაქემალ-ფაშა იქნება.

ოსმალეთის დელეგაციის შემადგენლობა.

საბოლოოდ გამოირკვა ოსმალეთის საზავო დელეგაციის შემადგენლობა: დელეგაციის თავმჯდომარედ იქნება—ტევფიქ-ფაშა; წევრებად არიან: მარშალი იზზეტ-ფაშა, ყოფილი ელჩი პარიზში რიფატ-ფაშა, გარეშე საქ. მინისტრი სეფა-ბეი, ნაბი-ბეი, ქემალ-ბეი, ახმედ რიზა და გენერალი შევქეთ თურგუტ-ფაშა.

კილიკია.

გაზეთი „აი რაინი"-ს გადმოცემით მარაშაში მომხდარ ამოჟლეტის დამნაშავენი თითქმის ყველა დაჭერილია. დამნაშავეთა შორის იმყოფება ვიცე-გუბერნატორი აჯი-ბეი, შიშმან-ზადე-არიბი და სხვანი.

გენ. შკუროს ჯარის ნაწილები.

გენერალ შკუროს ჯარის ნაწილებს სოჩიდან მაიკოპისკენ წინ წაუწევიათ 80 ვერსის მანძილზე.

ყუბანის მთავრობა.

გაზეთში გამოქვეყნებული ის ცნობები, ვითომ ყუბანის მთავრობა იმყოფება გაგრაში სიმართლეს არ შეეფერება, კანონმდებლობითი რადა და მთავრობა სოჩაშია. გაგრაში კი იმყოფება ყუბანის მთავრობის ერთი წევრი მხოლოდ.

ასკვიტი ოსმალეთის საკითხის შესახებ

თემთა პალატაში ასკვიტი სასტიკი კრიტიკით წარსდგა ოსმალეთის საკითხის გადაჭრის შესახებ. ასკვიტი თხოულობს აგრეთვე სომხეთის ტერიტორიალურ საკითხების გადაწყვეტას. ლლოიდ ჯორჯიმ უპასუხა, რომ ეს საკითხები დააგვიანა შეერთებულ შტატმა, და მაგრამ იგი მალე დაბოლოვდება.

გერმანია და საფრანგეთი.

პარიზში ამ ჟამად დაწყებულია ფრანკო გერმანიის შეთანხმების კომისიის მუშაობა. კომისიას მიზნად აქვს კომერციულ ურთიერთობის დამყარება გერმანია-საფრანგეთ შორის.

ეგვიპტე.

ეგვიპტეში ავტონომიური მმართველობა წესდება. ახალ მთავრობაში უეჭველად შევლენ ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწენი. ინგლისი ისევ დაიტოვებს თავის ხელმძღვანელობის ქვეშ სუეცის არხს. ქაიროში იქნება მუდმივი ინგლისის გარნიზონი.

სენატორი კინგი სომხეთის შესახებ.

სენატორმა კინგმა ამერიკის სენატში შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მოკავშირეებს წაუყენონ მემორანდუმი სომხეთის სრული დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. სენატორი კინგი ამბობს, რომ ამერიკელებმა ეხლა მაინც უნდა გადასდგან საოანადო ნაბიჯები სომხეთის დასახმარებლად.

იაპონიის პარლამენტი.

იაპონიის პარლამენტის არჩევნები დანიშნულია მაისის პირველისთვის.

ერობა

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

— ქუთაისის გარნიზონის უფროსმა აცნობა სამაზრო ერობის გამგეობას, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა დაუყონებლივ უნდა შეუდგეს ჯარის კაცები სასინჯ სროლას, რისთვისაც უნდა გამოინახოს სასროლი მინდორი ქალაქ ქუთაისის მახლობლად. გამგეობამ დაავალა გამგ. წევრს ვ. ფალავანდიშვილს აგრარულ რეფორმათა განყოფილების და გარნიზონის უფროსთან შეთანხმებით გამონახოს ასეთი მინდორი მოხსენებულ მიზნისთვის.

— მაზრაში მომუშავე სარაიონო საგრარო კომისიების მდივნებს გამგეობამ ჯამაგირები მოუმატა—მიმდინარე წლის პირველ თებერვლიდან თვითეული მათგანი მიიღებს თვეში 4,500 მანეთს.

— გამგეობამ დაადგინა ხონის ციხის გაუქმება; ლიკვიდაციის მოხდენა დაავალა ერობის ადმინისტრატიულ განყოფილებას.

— თანახმად საწირის თემის ხმოსანთა საბჭოს შუამდგომლობისა, გამგეობამ დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა სათანადო უწყების წინაშე, რათა ოკრიბის რაიონის იმ მოსწავლეებს, რომლებიც ქ. ქუთაისში სწავლობენ და უხდება მატარებლით მიმოსვლა სასწავლებელსა და თავიანთ სახლს შუა—მიეცეთ მატარებლით უფასოდ მოგზაურობის უფლება და თუ ეს შეუძლებელი იქნება დაკლებულ ფასებში მიეყიდოს მათ რკინის გზის ბილეთები. 2) ადგილობრივ ცუდი პირობების გამო მიემატოს ამ თემში დაწესებულ მილიციელთა შტატს ორი მილიციელი.

— ერობამ შეიძინა ექიმ ე. ხუნდაძის საექიმო ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს ბევრ ძვირფას წიგნებს. საერთო რიცხვით ორას ოთხმოც წიგნს.

— საკანტროლო კომისიამ მოახდინა სამაზრო ერობის ცენტრალურ სააფთიაქო საწყობის რევიზია. გამოირკვა, რომ თანამშრომლებს კეთილსინდისიერად შეუსრულებიათ თავისი მოვალეობა. გამგეობამ 7 აპრილის სხდომაზე დაადგინა მადლობა გამოუცხადოს კეთილსინდისიერ და პატიოსნურ მუშაობისათვის სააფთიაქო საწყობში მომუშავე ყველა თანამშრომლებს.

— სამაზრო ერობის მოიჯარადრეს გზის მოხელეს სოლომონ ნადირაშვილს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აჯამეთის შტოზე რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაყვანა, გამგეობამ ამ მუშაობის კეთილსინდისიერათ შესრულებისათვის მისცა ჯილდოთ 25000 მ.

ერობათა კავშირში.

— ერობათა კავშირის განყოფილების მოსამსახურეთა 22 კაცისთვის ქუთაისში ერობათა კავშირის განკარგულებით შეტანილ იქმნეს მომარაგების სამინისტროში 22000 მან. მუშათა მაგიდაში ჩასაწერათ რათა მათ მიეცეს იქიდან საჭირო სანოვაგე.

— ქალ. სამტრედიას აუნაზღაურდეს საქონლის შენახვაში მის მიერ გაწეული ხარჯები, დაეთმოს მას შეღავათიან ფასებში ის საქონელი, რაც ქალაქ სამტრედიისთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

— ბ. ამირაჯიბის თაოსნობით ტფილისში გაიხსნება ხუთ მაისიდან საბაქტერიოლოგიო და სასანიტარო კურსები, სადაც ერობების წარმომადგენლისთვის იქნება ხუთმეტი ადგილი. კურსები გაგრძელდება ექვს კვირას მოსასმენ ფასი დაწესებულია 500 მან. ერობათა კავშირი მიიღებს აგრეთვე თავის თავზე ბინის შოვნასა და სანოვაგის დახმარებას ჩამოსულთათვის.

ქალაქის სასურსათო განყოფილებაში

სასურსათო განყოფილებამ ბევრი ფართლეულობა იყიდა საზღვარ-გარეთ და ბათუმში. ფართლეულის ნაწილი უკვე დაურიგდა ქალაქის მაღაზიებს. არის ბევრი მასალა საცვლებისთვის, საზაფხულო ქსოვილები, შეიოტი 400 მან.—1000 მან. არშ., ძაფები, ბავშვების კოსტუმები, წინდები და სხვ.

— რადგან ხორცით მოვაჭრეებმა ნიხრი არ დაიცვეს, სასურსათო განყოფილება ამ დღეებში გახსნის ერთ ან ორ დუქანს სალდათის ბაზარში, საიდანაც ხორცი მიეცემათ მოქალაქეებს ნიხრით. შემდეგში გაიხსნება სარაინო ხორცით სავაჭრო დუქნები.

— მოკლე ხანში სასურსათო განყოფილება გახსნის ფეხსაცმელის მაღაზიას, რომლისთვისაც უკვე ნაყიდია დიდძალი საზღვარ-გარეთის ფეხსაცმელები.

ქალაქის თვითმმართველობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

— უარყოფილ იქმნა თერგის ოლქის ლტოლვილთა კომიტეტის შუამდგომლობა, რომელნიც თხოულობენ კომიტეტების წევრთათვის ტრამვაის უფასო ბილეთების მიცემას.

— გაყვანილ იქმნას განათება საბურთალოზე.

— აბანოების გამგის თანამდებობაზე დროებით აღსრულება დაევალოს კიკნაძეს.

— სომხეთის წარმომადგენლის შუამდგომლობა, რათა განთავისუფლებულ იქნეს 29 აპრილს გამართული კონცერტი გადასახადისგან სომხეთის კონსერვატორიის სასარგებლოდ გადახდეს მხოლოდ 30 პროც.

— საბჭომ ხმოსანთა საერთო რიცხვის ორ მესამეზედ მეტის დასწრებით, ერთხმივ დაადგინა: 1) შემოღებულ იქმნას, დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს მიღებული დეკრეტის თანახმათ, საფუთო გადასახადი ქალაქ ტფილისის თვითმართველობის სასარგებლოდ ყველა იმ ტვირთზე, რომელიც შემოტანილი ტფილისში ან გატანილი იქმნება ტფილისიდან, რკინის გზის ტფილისის და ნავთლუღის სადგურებით, აგრეთვე კახეთის რკინის გზის სადგურ ნავთლუღით; 2) გადასახადის რაოდენობა განისაზღვროს გაორკეცებულ ძირითად სატარიფო გადასახადით, რომელიც აქვს ან დაედება ვერსტზედ ტვირთის თითო ფუთს, თითო ცალს ან თითო ვაგონს ამ ტვირთის გადაზიდვის საერთო ტარიფის თანახმათ, გარდა ხორბლეულობის და ფქვილეულობისა, რომელზედაც გადასახადი განისაზღვროს გაათკეცებული სატარიფო გადასახადით; 3) ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდეს მიცვალებულთა გადატანა. 4) ეს დადგენილება ძალაში შევიდეს ჟურნალის ხელის მოწერით დამტკიცებამდის.

ქართველ მწერლებს

თანახმად მწერალთა მეორე კონფერენციის დადგენილებისა მწერალთა საბჭო 7 მაისს მართავს მთელს საქართველოში პირველ ტრადიციულ „პოეზიის დღეს". ამ დღეს გამოიცემა სპეციალური გაზეთი დიდი ფორმატის „პოეზიის დღე". გაზეთში მოთავსებული იქნება ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ესკიზები და სამხატვრო წერილები.

მწერალთა საბჭო სთხოვს ყველა მწერლებს მოაწოდონ მას მასალა გაზეთში დასაბეჭდათ 1 მაისამდე. ნაწარმოები უნდა იყოს რამდენადაც შესაძლებელია პატარა, დაახლოებით ასი სტრიქონი. მისამართი: ტფილისი, მწერალთა კლუბი „ქიმერიონი" მწერალთა საბჭოს.

სხვა და სხვა

— გორის პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლა იწყება დღეს, 22 აპრილს, უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში კი 26 აპრილიდან. სკოლები მოთავსებულია საზაფხულო კლუბის ხის შენობაში. მოწყობილია საცხოვრებელი ბინა მასწავლებელთათვისაც.

— დღეს, 22 აპრილს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს საგანგებო სხდომა ფრიად საჭირო კითხვების განსახილველად. კრების ბინა: წმინდა ნინოს სასწავლებელი (ერმოლოვის ქუჩა).

— რედაქციამ მიიღო: 1) მოზრდილი ტანის წიგნი „ჩვენი მწერლობა" ს. რ. გორგაძისა, გამოცემა მთავრიშვილის ამხანაგობისა, 2) „თამარ ცბიერი" აკაკისა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ორივე წიგნი სუფთათაა გამოცემული და შედარებით არც ძვირია.

— ტფილისის კლუბების კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ კლუბების ზაფხულის სეზონის გამო ნება დართონ კლუბების საღამოები გაავრძელონ და 11 საათზედ არ დაიკეტოს,

— განათლების მინისტრის განკარგულებით მესამე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეებს დაენიშნებათ გამოსაცდელი კომისიები ეს გამოცდები გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ გიმნაზიის მოწაფენი მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად უშვებდენ გაკვეთილებს.

— აპრილის 20 ლანჩხუთიდან ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

— გუშინ სომხეთიდან საფრანგეთში ორი თვის ვადით გაემგზავრა საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური სომხეთში პუა დეპარი. როგორც გადმოგვცემენ პუა დე-პარდაინიშნება საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად სომხეთში.

— ტფილისში ამ ჟამად დიდ ძალი შაქარი არის ჩამოტანილი. მიუხედავად ამისა შაქრის ფასი მაინც არ კლებულობს.

— ტფილისში ისევ არ იკვლება საქონელი და მცხოვრებნი უხორცოთ არიან.

ქუთაისი

ქუთაისის ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ 4 აპრილის საგანგებო კრებაზე აირჩია და შეავსო გამგეობის ახალი წევრები: ალ. გარსევანიშვილი (პედაგოგებიდან), ალ. პაპავა (ერობიდან), გრ. ლაღიძე (ვექილთაგან), დათიკო ჩხეიძე (რედაქციიდან), გიორგი გორდაძე (ვაჭართაგან) და მ. სიამაშვილი (ერობიდან). კრების თხოვნით ძველი გამგეობიდან დარჩენ: ლუბა ჩხენკელისა და ნინო ბახტაძის ასული (ქალებისაგან), სერგო გერსამია (ერობიდან), ტრ. სულავა (პროფესიონალ კავშირებიდან) და ის. კვიცარიძე (მწვანობრებიდან).

კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება: გაუერთიანდეს ქუთაისის სამუსიკო საზოგადოება ტფილისისას და შეადგენდეს მის ფილიალურ განყოფილებას.

ამავე კრებაზე დაადგინა: საწევრო გადასახადის 25 მ. გადიდება და მიანდვეს გამგეობას ტფილისის სამუსიკო ქართულ საზოგადოების საზოგადო კრებაზე დასასწრებლათ დელეგატის არჩევა.

— კანტორა „იმერეთმა" მიიღო გასაყიდათ ტფილისიდან კანტორა „განათლებას"-ს გამოცემა „განახლებული საქართველო". სურათი წარმოადგენს ესკიზს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, საქართველოს ძველ და ახალ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერალთა სურათებით. ფასი ბილეთი და ღერბით ღირს 60 მ.

ახალი წიგნები: „წითელი ვარდი"—ძღვნად სახალხო გვარდიას—ობოლი მუშისა, ფ. 20 მ. „წითელი წიგნი" ყარიბისა, ფ. 100 მ. „ზღაპრები" ანდერსინის, ფ. 10 მ. „ზამთრის ეუქრთმა" რ. გოგოგია, ფ. 20 მ. „ცისარტყელა" № 4, ფ. 30 მ.

— 5 ამ თვეს ორპირის ქუჩაზე, მეტი ღვინის სმით გამოსულელებულმა გიორგი ხურცილავამ თავის ბინაზე, თავისი ცოლი კისერზე პირს ხოცის მოჭერით მოახჩო. მიზეზათ იმას თვლიან, რომ ყოველ წამს საცოდავ ქალს სთხოვდა და ართმევდა თავის წვალებით ნაშოვნ ფულებს, თვით კი მკვლელი, არაფერს აკეთებდა და მუდამ დღე, როგორც „ბოსიაკი" სამიკიტნოებში იყო.

ხელოვნება

„პოეზიის დღე".

— 7 მაისს თანახმად მწერალთა მეორე ყრილობის დადგენილებისა, მწერალთა საბჭო მართავს სრულიად საქართველოში პირველ ტრადიციულ „პოეზიის დღეს".

— „პოეზიის დღის" მოწყობა პროვინციაში მიენდო: ქუთაისში—ნიკო ლორთქიფანიძეს; ფოთში—იასამანს; ჩოხატაურში—ია ეკალაძეს; თელავში—ბეგლარ ახოსპირელს; ზუგდიდში—ლეო ქიაჩელს; დანარჩენ ადგილებში საბჭო გზავნის სპეციალურ პირებს, რომელნიც ადგილობრივ ძალებთან ერთად მოაწყობენ „პოეზიის დღის" საღამოებს.

— „პოეზიის დღე" გაიმართება ბათომშიც 9 მაისს, სადაც წავლენ საბჭოს წევრები, პოეტების და მსახიობების ჯგუფი.

— „ქიმერიონში" 7 მაისს გაიმართება დიდი კაბარე. ამავე დღეს გამოვა დიდი ფორმატის სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი.

მისალმება მთავრობის თავმჯდომარეს.

ქართველ მწერალთა მეორე კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ და აღგითქვამთ მთელი თავისი ძალღონით ემსახუროს დემ. რესპუბ. დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ქართველ მწერლობას დროშა ეროვნულ კეთილ დღეობისა და სამშობლოს აღორძინებისა მარადის მაღლა ეჭირა და ამ გზიდან ის არასოდეს გადაუხვევს. კონფერენციას სწამს, რომ მთავრობა თავისი ყურადღებით, თანაგრძნობით და ქართველ ხელოვნებისადმი მზრუნველობით მწერლობასაც გაუადვილებს ამ დიად საქმის პირნათლად შესრულებას. თავმჯდომარე ივ. გომართელი.

დიდათ პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძეო!

ქართველ მწერალთა მეორე კონფერენციამ პირველი სხდომის გახსნისათანავე აგირჩიათ თქვენ მწერალთა კავშირის საპატიო წევრათ. გაუწყებთ რა კონფერენციის ამ დადგენილებას, ვსაგებლობ შემთხვევით გამოგიცხადოთ ჩემი უღრმესი პატივის ცემა და გისურვოთ დღეგრძელობა რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

კონფ. თავმჯდ. **ივ. გომართელი.**

ბიულეტენი

საპარ. ფიზ. ობსერვატორიის

ტფილისი, 20 აპრილი 1920 წ.

ნაშუად. 1 **ხაათ.** ჰაერის წოლა მმ.: 723.2; ჰაერის ტემპერატ.: 14.0; შეფარდებ. სინოტ. %: 70; მოღრუბლ.: 10: ქარი: NW 1; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 18.7; ბუნებრივ.: 18.6.

საღამ. 9 **ხაათ.**: ჰაერის წოლა მმ.: 722.4; ჰაერის ტემპერ.: 12.3; შეფარდებ. სინოტ. %: 70; მოღრუბლ.: 10; ქარი: N 4; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 11.5; —ბუნებრივ.: 11.5 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 20 აპრილი: 13.1; ნორმალი: 11.9; მაქსიმალი: 15.4; მინიმალი: 12.1.

დილ. 7 **ხაათ.** 21 **აპრილი.** ჰაერის წოლა მმ.:

722.4; ჰაერის ტემპერ. 12.5; შეფარდებ. სინოტივ. %: 66; მოღრუბლ.: 7, ქარი: N 8; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 14.5; ბუნებრივ.: 14.5; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 3.1; შენიშვნა:—

წვიმა დილ. დღით.

დილ. 7 საათ. 20 აპრილი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ქარიერი ღელვა.
ტფილ. [1]	31.1	12	0	E 1	—
ბორჯომი [2]	9.0	8	2	—	—
ფოთი [3]	10.7	10	1	SSW 2	0
სოხუმი [4]	11.6	11	1	0	0
გაგრი [5]	11.4	11	2	—	0

შენიშვნა: [1] წვიმა ღამ., [2] წვიმა ღამ., [3] წვიმა საღამ., ღამ.; [4] წვიმა საღამ., ღამ.; [5] წვიმა ღამ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

გერონტი ივლიანეს-ძე იმედაიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან № 3—1919 წ. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 301 3—3

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო წიგნაკი № 11725 პლატონ დავითის ძე გურგენიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 702 3—2

ჩემი შვილი ნესტორ ბესარიონის ძე არიშვილი მსახურებდა ყოფილ პირველ ქვეითა რაზმის პირველ ბათალიონში, მონაწილეობას ღებულობდა სომხების ომში და მას შემდეგ არაფერი ცნობა არა გვაქვს. გთხოვთ თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ მაცნობოს შემდეგი მისამართით: რიონის თემის გამგეობას ბესარიონ არიშვილზე გადასაცემად.

დაკარგულია ადმინისტრაციის ორი მოწმობა სავ. სახ. „ძმ. ცოვიანოვების“ საქმ. შესახებ. ერთი მიღებული 1910 წ. ოქტომბრ. 25-ს № 42, 456 მან. მიხეილ ბაგრატის ძე ცოვიანოვის სახელზე და მეორე № 43 1894 მან. ლუბა სტეფანეს ასულის ცოვიანოვას მემკვიდრის მიხეილ ბაგრატის ძე ცოვიანოვის სახელზე. მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 737 3—1

დაკარგულია საბარგო კვიტანციები №№ 28173, 28178 და 28188 და ანგარიშები ფართლისა და საგალანტერეინო საქონლის ბაგდან სერგის ძე ოგაჯანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 73 3—1

დაიკარგა სასურსათო ფონდიდან პურის მიღების შვიდი სულის მოწმობა № 22413. არტაშ მარტიროსოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვლება. 734 3—1

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 277 ანნა მიხეილის ასულ ტენნოს სახელზე, მიცემული ესტონეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვლება. 735 3—1

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბილეთი № 418, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და შვიდი სულის სასურსათო წიგნაკი № 22566 სიმონ ზაალის ძე ბილანიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 738 3—1

ქ. ტფ. 1 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული გ. გ. ბარუტჩევი აცხადებს, რომ 30 აპრილს 1920 წელს დილის 10 საათზე ბელინსკის ქუჩაზე სახლი № 46, იყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება დანიელ ივანოვისა, რომელიც შესდგება სხვა და სხვა შინაური ნივთებისაგან დაფასებული 3250 მანეთი. აღნიშნული ქონება იყიდება დავით მახარაძის, დასაკმაყოფილებლად, რომელსაც აქვს ასაღები ივანოვიდგან 3250 მანეთი. 690 1—1

სოხუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ლევან იოსების ძე ადამიას მიერ მალაქი იოსების ძე ადამიაზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუს ანტონიოვიჩთან 1916 წლ. თებერვლის 3-ს, რეესტრი № 387, გაუქმებულია. 373 1—1

ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 5 აპრილში 1911 წ. გარდაცვალებულ მიხეილ ოვანესიან მირზოიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მირზოიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნული ვადაში. 543 1—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის ნიკოლოზ ივანეს ძე ვაჟიკაშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ თავიანთი უფლება ზემოხსენებულის ვაჟიკაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 589 1—1

ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 20 იანვარში 1920 წლ. გარდაცვალებულ პეტრე იურის ძეს დულმანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება დულმანის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 539 1—1

ტფილისის მე-22 უბნის მოგრიგებელ მოსამართლე იწვევს 11 დეკემბრის 1918 წ. გარდაცვალებულ ვლადიმერ მოსეს ძე ბურშტეინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბურშტეინის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 542 1—1

დაიკარგა პასპორტი დავით მარკოზის ძე კასრაშვილის სახელზე, მიღებული ტყიბულის კომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 701 3—2

ქ. ტფილისის მე-20 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1915 წ. 11 ოქტომბერს გარდაცვალებულ ანნა გრიგოლის ასული კასუმიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კასუმიანცის ქონებაზე სამ. წე. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში. 245 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიმონ მიკირტას ძე ეგიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. არსენალიდან და საქ. სოც.-დემ. პარტიის წევრობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 703 3—2

სიმონ პავლეს ძე გონჯილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოსეს ხითაროვისაგან მიწის ყიდვის მოწმობა 1918 წ. ვინტოვკისა და ნაგანის ტარების ნებართვა, მიღებული თიონეთის მაზრის ტყის გამგისაგან და ტყის მცველის მოწმობა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 728 3—1

დაიკარგა რვა სულის პასპორტი № 4501 მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან არტემ რამაზის ძე ოქროსცვარიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 727 3—1

ქ. ტფილ. მესამე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გორდეი და ლევ ალექსანდრეს ძეთ გოლუბკინებს ან მათ რწმუნებულებს საჩივარზედ შემოტანილს მათზედ ლეონიდ ალექსანდრეს ძე გოლუბკინის რწმუნებულის ნაფიცი ვექილის ივანე გრიგოლის ძე მაღალოვის მიერ, შესახებ 3000 მანეთის ანდერძით გარდაცვალებული თეკლე ეგნატეს ასული გოლუბკინის, ამასთანავე აფრხილებს თუ თითონ არ გამოცხადდებიან ან არ წარმოადგენენ წერილობითი განცხადებას, თანახმად მომჩივნის თხოვნისა, საქმის გარჩევა დაინიშნება და გამოტანილი იქნება თანდაუსწრებელი განაჩენი. ძიების თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია: ნდობის ქაღალდი და ასლი ანდერძის ქაღალდისა. 590 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველ. თანახმად ოლღა ლუარსაბის ასული თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარკავს ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის დასრულების მოწმობა, რომელიც მას ჰქონია მიღებული 1913 წელს სექტემბერში სთხოვს მპოვნელს აღნიშნული მოწმობა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 391 3—2

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სოფელ ყვარელში, თელავის მაზრაში მცხოვრების ალექსი ხვთისავარის ძე წიწრიაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება წიწრიაშვილის ქონებაზე თანახმათ 1401 სამოქ. საქ. წესდ. მუხ. და 1239 და 1241 სამ. კან. X ტ. I ნაწ. მუხ. 424 3—2

დაკარგულია პასპორტი ჰაიკ ჩარჩიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 699 3—2

დაიკარგა პასპორტი აბრამ ნიკიტას ძე ბეროვსკის სახელზე, მიღებული ტფ. სისხლის სამართლის მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 715 3—2

დაიკარგა არტელშჩიკის მოწმობა იოსებ მიხეილის ძე სარქისოვის სახელზე, მიღებული საავაციო გუნდიდან და სამი კვიტანცია, მიღებული სამხედრო სამინისტროს სასურსათო საწყობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 710 3—3

აღა ალიას ძე აღა უსეინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საოჯახო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1907 წ. და მოწმობა, რომ ის ასრულებდა მუსულმანთა კორპუსში ნივთების საწყობის გამგის თანაშემწის თანამდებობას. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 729 3—1

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, მაისის 2-ს დილის 10 საათზე, საზოგადოების ბინაზე, პუშკინის ქ. საკ. სახლი, წესდების მე-32 § ძალით მოხდება საზოგადოების 5 პროც. ობლიგაციების მე-76 ტირაჟი და $4^1/_2$ პრ. ობლიგაციების მე-43 ტირაჟი. 442 1-1

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამიერ კავკასიის საზოგადოება იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან ხსნის ბათუმში საბითუმო (оптовый) საწყობს და კანტორას. მედიკამენტების პირველი ტრანსპორტი უკვე მიღებულია საუკეთესო ფაბრიკებიდან. შეკვეთა დროებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათუმი, სავაჭრო შესახვევი, № 6. ტფილისი, განოვის ქ. № 7. 725 1—1

ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 19 სექტემბერის 1919 წ. გარდაცვალებულ ქრისტინე დავითის პურიტის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თაისი უფლება პურიტის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნული ვადაში. 643 1—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის შუშანიკა ოვსეფას ასული, იგივე ალექსანდრა იოსების ასული, ხარახოვას მემკვიდრეებს რათა განაცხადონ მათ თავიანთი უფლება ზემოხსენებულ ხარახოვას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 591 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად სიმონ ესტატეს ძე ცერცვაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი, მიცემული 1903 წ. ქუთაისის მეშჩანების მამასახლისიდგან, გეგმა ორი დუქნისა მდებარე ქ. ზესტაფონში, გეგმები იყო დამტკიცებული ქუთაისის გუბერნიის კომისიიდგან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთები წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 407 3—2

ქ. ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 24 აპრილს, შაბათს დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ბუტკის, რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე მესამე უბანში, იჯარით გასაცემათ ქარვასლის წინ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. ქალაქის გამგეობა. 441 3—3

დაიკარგა პასპორტი სერგეი ალექსის ძე როდინის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ) 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 117-ალექსი ესტატეს ძე ციციშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 718 3—2

დაიკარგა პასპორტი შულავატ ხინგის ასული ირიციანცის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 711 3—2

დაიკარგა პასპორტი იაკოფ ანდრიას ძე კარაპეტოვის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულის სამმართველოდან ქ. კავკავში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 713 3—2

დაიკარგა სამი სულისა სასურსათო წიგნაკი მიხელ ბეგლარის ძე კუხელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 721 3—2

დაიკარგა ვადიანი პასპორტი, არჩილ ალმასხანის ძე როხვაძის სახელზე, მიღებული ს. ვანის თემის გამგეობიდან და ვაჭარ ნებიესოვისგან ბიქტორ აბრამიძის სახელზე, მიცემული 90,000 მანეთის კვიტანცია. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 716 3—2

დაიკარგა პასპორტი ფეოდოსია ივანეს ასული მოისეევის სახელზე, მიღებული ტფ. მეორე უბნის კომისრისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 717 3—2

ალბულაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულს დაბა თეთრი წყაროში მცხოვ. მიხეილ ფეოდორის ძე ბატურინის მემკვიდრეთ, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 393 3—2

ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი

ამით აცხადებს რომ ორშაბათს ამა წლის 26 აპრილს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ჰოსპიტლის ძველ საქონების და დავთრების გასასყიდათ. ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათზე. 732 2—2

ქ ა რ თ უ ლ ი
აქციონერთა საზოგადოება
„ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ

ოთხშაბათს, 26 მაისს, დილის 11 საათზე,

ქ. ფოთში, საზ. განყოფ. ბინაზე (ლიალინის და მიხეილის ქ. კუთ. ციციაშვილების სახლი)

დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური

ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი კ რ ე ბ ა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. საზოგადოების დაარსების დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან ამა 1920 წლის პირველ იანვრამდის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
2. დივიდენდის დარიგება;
3. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
4. გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები;
5. სხვა და სხვა კითხვები.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრების უფლება ექნება და ხმა მიეცემათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სახელოვანი აქციები აქვს, აგრეთვე იმ უსახელო აქციების პატრონებს, რომლებიც კრებამდის არა უგვიანეს ერთი კვირისა წარმოადგენს გამგეობაში ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში და კრების გათავებამდის უკან არ წაიღებს თავის უსახელო აქციებს. აქციების მაგივრად შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე ბანკის, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებათა (ქალაქის გამგეობათა და ერობათა) მოწმობა აქციების გირაოთ ან შესანახად მიღებისა. ამ მოწმობებში უნდა იყოს ნაჩვენები იმ აქციების რაოდენობა, მათი ნომრები და ღირებულებანი. 724 3—3

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მ. ჭარხარიანი.